თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი

# ბრძანება

02 ოქტომბერი 2017წ. თბილისი № 222/02

**,,სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის 2017 წლის 21 ივნისის №143/02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

,,უმაღლესი განათლების შესახებ’’ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ’’ ქვეპუნქტის და სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–16 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის 2017 წლის 21 ივნისის №143/02 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის 1.2. ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს ,, ალექსანდრე ბოლქვაძე - ბიოლოგიის ასისტენტ - პროფესორი“ და მის ნაცვლად შეყვანილ იქნეს ,,ზაზა ბაღდავაძე - ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; „

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსს (მ. როზაქიძე).

4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე და უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

**პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე**

**კანცლერი**